საქართველო - რუსეთის 1991 წლის 23 მარტის ყაზბეგის შეთანხმების შეფასებისათვის

შოთა ვადაჭკორია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

FOR THE REVIEW OF THE GEORGIAN-RUSSIAN KAZBEGI AGREEMENT OF MARCH 23, 1991

Shota Vadachkoria,
Doctor of historical sciences,
Professor of GTU

ABSTRACT

The analysis of the materials presented in the paper support the following facts: 1) The escalating Ossetian separatism was the hardest legacy for the national forces that took control of Georgia after the elections on October 28, 1990. The goal of the separatists was to compromise the territorial integrity of Georgia and to prevent the implementation of the plan developed by the specialized department of Russia; 2) The formulation of the former territory of South Ossetia in the agreement reached between Yeltsin and Gamsakhurdia on March 23, 1991 in Kazbegi was the proof of the support of Boris Yeltsin for the law of the Supreme Council of Georgia of December 11, 1990 abolishing the Autonomous Dictrict of South Ossetia. B. Yeltsin's support for measures to be implemented in favor of the Georgian government in Tskhinvali Region was due to the expectation that the government of Z. Gamsakhurdia would change its political course in some way or another. An opposite action would create a real danger of losing Tskhinvali Region and Abkhazia; 3) Maintaining the territorial integrity of Georgia and anchoring the Georgian population of the region to their ancestors' home required from the Georgian ruling elite to put ambitions on the back seat and show diplomatic flexibility using the right maneuvering. Otherwise, failure to fulfill the Kazbegi Agreement was inevitable. Despite this reality, the Georgian government of the day chose a radical course that proved detrimental to preserving the nation's territorial integrity.

* * * *

საქართველოს კომუნისტური მმართველობის მთელი ისტორიის მანძილზე, პირველი დემოკრატიული არჩევნებით (1990 წლის 28 ოქტომბერი), ხელისუფლებაში მოსულ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, ცხინვალის რეგიონში ოსური სეპარატიზმის აღმავლობის სახით, უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. სიტუაციის დარეგულირების და იქ მცხოვრები ქართველების მიმართ უსაფრთხოების შექმნის შესაძლებლობები იმ ეტაპზე საქართველოს ახალ ხელისუფლებას არ გააჩნდა. მითუმეტეს, ოსი სეპარატისტები, რუსეთის მფარველობის ქოლგის ქვეშ იყო შეყუჟული და ცენტრიდან იღებდა შესაბამის დახმარებას. ამ ფონზე, დაზუსტებას საჭიროებს რუსული ფაქტორის გარეშე, საქართველოში ოსური სეპარატიზმის არსებობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება.[1]

ჩვენი აზრით, ოსური სეპარატიზმიდან პირობითად ორი საფეხური უნდა გამოიყოს: 1)აბორიგენი ერის კუთვნილი ტერიტორიიდან ქართველთა „მშვიდობიანი" გზით განდევნაზე და გამოთავისუფლებული ადგილების მისაკუთრებაზე დაფუძნებული „პასიური" ოსური სეპარატიზმი. ეს პროცესი, შიდა ქართლის ოსების ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა; 2)საბჭოთა რუსეთის დახმარება-მხარდაჭერაზე აღმოცენებული აქტიური ოსური სეპარატიზმი საშიშროების ფაზაში მაშინ შედიოდა, როცა ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობაზე, რუსეთის მმართველი წრეები, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას და კონტროლის დამყარებას ცდილობდა. ამ მიზნით, ხდებოდა ოსი სეპარატისტების ფულადი დახმარებით და სამხედრო შეიარაღებით უზრუნველყოფა. ეს ფაქტორები განსაზღვრავდა აქტიური ოსური სეპარატიზმის დონეს. ამის საუკეთესო დადასტურებას, საბჭოთა რუსეთის მიერ ოსების 1918, 1919, 1920 წლების აჯანყებების დაფინანსება და იარაღით უზრუნველყოფა წარმოადგენს.[2]

საბჭოთა რუსეთისგან 1918- 1920 წლებში გათამამებულმა ოსმა სეპარატისტებმა აქტიური სეპარატიზმით თუკი საწადელს ვერ მიაღწია, მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერით იყო განპირობებული. XX საუკუნის 90- იანი წლების საქართველოს ეროვნულ მთავრობას ასეთი შესაძლებლობები არ აღმოაჩნდა. აქედან გამომდინარე, მისი პოლიტიკური კურსი, სიხისტისა და რადიკალიზმის უარყოფით, საბჭოთა რუსეთთან მოქნილ დიპლომატიურ სვლაზე უნდა ყოფილიყო აგრებული. მითუმეტეს, განვლილი ისტორიული მოვლენები აქტიურ ოსურ სეპარატიზმთან მიმართებაში რუსეთის როლის განსაკუთრებულობას ადასტურებს.

ეს ფაქტორები, ზ.გამსახურდიას ხელისუფლების მხრიდან, მხოლოდ პირველ საფეხურზე იქნა გათვალისწინებული. ამის დადასტურებას, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ.ელცინის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ.გამსახურდიას ყაზბეგის 1991 წლის 23 მარტის შეხვედრაზე ორმხრივად ხელმოწერილი დოკუმენტი წარმოადგენს: „ოქმი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარა-

კების შესახებ.“ იგი ორივე მხარეს ავალდებულებდა: 1)1991 წლის აპრილის ბოლომდე მოემზადებინათ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი; 2)ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ფარგლებში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, ერთობლივი ღონისძიებები გაეტარებინათ: ა)ცხინვალის რეგიონში მდგომარეობის შესწავლისა და 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შესაფასებლად, დოკუმენტზე ხელმოწერიდან 10 დღეში, რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს ერთობლივი კომისია შეექმნათ; ბ)ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განაიარაღებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, იმავე სამინისტროებს, 10 აპრილამდე მილიციის ერთობლივი რაზმები ჩამოეყალიბებინათ; გ)ცხინვალის რეგიონში განთავსებული სსრკ- ის თავდაცვის სამინისტროს ძალები ყოფილიყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაეყვანათ; დ)განეხორციელებინათ ცხინვალის რეგიონში ლტოლვილთა პირვანდელ საცხოვრისზე დაბრინება და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა; ე)მოეხდინათ ლტოლვილებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება; ვ)ერთობლივ კომისიებსა და რაზმებს, ცხინვალის რეგიონში სიმშვიდის დამყარება უზრუნველეყო; ზ)ერთობლივად შექმნილ მუდმივმოქმედ ჯგუფებს, ორმხრივად ხელმოწერილი ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების კონტროლი განეხორციელებინათ.[3]

აღნიშნულ დოკუმენტში დასმული საკითხები, რუსეთის მხრიდან „დათმობის“ გარკვეულ ჟესტს წარმოადგენდა და საქართველის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის სასარგებლო ღონისძიებებს შეიცავდა. იმავდროულად, ოსური სეპარატიზმის „დათრგუნვას“ და რეგიონში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენას ისახავდა მიზნად. ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, აღნიშნულ დოკუმენტში სამჯერ (პირველი, მესამე და მეოთხე მუხლები) იყო გამოყენებული გამოთქმა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,“ რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ.ელცინი აღიარებდა: ა) საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბერის კანონთ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ დასახელების ამოღებას; ბ)საქართველოს უზენაესი საბჭოს იმავე სხდომაზე მიღებულ კანონს_ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

რუსეთის სფსრ- ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასეთ „კომპრომისი“ შემთხვევითობით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. საფიქრებელია, რომ საქართველოს მხრიდან, რუსეთის ხელისუფლება, გარკვეული კომპრომისული ნაბიჯის გადადგმას ელოდა. მითუმეტეს, ამ შეხვედრისა და ხელმოწერილი დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, ზ.გამსახურდიამ ტელევიზიით გამოსვლისას (1991 წლის 25 მარტი) ხაზგასმით მიუთითა: „ჩვენ მივაღწიეთ ყოველივე ამას_განაცხადა მან,_ მე ვიტყოდი ძალზე კონსტრუქციული და მრავალმნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, მეტად სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის. დაიგეგმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, უპირველესი და უმთავრესი მათ შორის იქნება რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც დაიდება თბილისში. ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა ექნება.“[4]

თუკი ამ ინტერვიუს ბოლომდე ჩავყვებით, აშკარად წარმოჩნდება, რომ ზ.გამსახურდია, ორი რუსეთის_ რეაქციული და დემოკრატიული რუსეთის მოძველებულ თეორიას ავითარებდა. მისი მტკიცებით: 1)იმპერიის ცენტრი, რუსეთის დემოკრატიულ მთავრობას დაუპირისპირდა; 2)ამ ბრძოლაში, დემოკრატიული ძალების გამარჯვება და რუსეთის იმპერიის მარწუხებისგან განთავისუფლება ერთდროულად განხორციელდებოდა; 3)რუსეთის სუვრერენიტეტის აღდგენა, საბჭოთა იმპერიის დაშლის გარანტი გახდებოდა; 4)მომხდარი ფაქტი, საქართველოს განთავისუ-ფლების და სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობებს შექმნიდა. „ყოველივე ეს_ აცხადებდა იგი,_ აჩქარებს ჩვენს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციას და ფიქრს რუსეთსა და საქართველოს შორის მომავალი ურთიერთობების შესახებ. საბედნიეროდ, უკვე აღარ არის ძველებური დიქტატი, აღარ არის ის ძველებური ტენდენციები ექსპანსიონიზმისა და ამის ერთ-ერთი ნათელი დამადასტურებელი მაგალითი გახლავთ ოქმი, რომელიც ჩვენს შეხვედრაზე შევადგინეთ .“[5]

აღნიშნული ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე, „დემოკრატიული“ რუსეთის წარმომადგენელი ბ.ელცინი, საქართველოს ხელისუფლების ლიდერისგან_ ზ.გამსახურდიასაგან პოლიტიკური კურსის გარკვეული ფორმით შეცვლას ელოდა. მხედველობაში გვაქვს რუსეთის მიმართ რბილი საგარეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობა და ამ მიმართულებით ურთიერთობის მნიშვნელოვან კონდიციამდე დაყვანა. თუკი ზ.გამსახურდიას მხრიდან რუსეთის ხელისუფლება ამ კომპრომისს მიიღებდა, ეს ფაქტი, რუსეთისგან სხვა რესპუბლიკებთან მიმართებაში იდეოლოგიური პიარის საფუძველი გახდებოდა. ამით ზ.გამსახურდიასაც შეეძლო ესარგებლა. მხედველობაში გვაქვს: ა)ცხინვალის რეგიონის ზ.გამსახურდიასეული ფორმულირებისადმი რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მხარდაჭერა და საბჭოური სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ ეტაპზე არარსებობის ფაქტის დადასტურება; ბ)ცხინვალის რეგიონში, საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის სამართლებრივი აუცილებლობა. პოსტსაბჭოთა სივრცეში, ეს იყო რუსეთისგან „გამოგლეჯილი“ ყველაზე დიდი მიღწევა კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. ამ დიდ პოლიტიკურ წარმატებას, გაფრთხილება ესაჭიროებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ზ.გამსახურდიას პირდაპირ მიანიშნა, რომ ცხინვალის რეგიონში ოსური სეპარატიზმის მოთოკვა-არმოთოკვა, საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობისა და იქ მცხოვრები ქართველებისთვის ნორმალური ყოფითი პირობების შენარჩუნება_ რუსეთის მმართველი წრეების ნებაზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ზ.გამსახურდია არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: 1) მას ნ.ნაზარბაევისა და სხვათა მსგავსად, იმ ეტაპზე ქვეყნის სრულფასოვანი დამოუკიდებლობის მიღწევის მცდელობის ღონისძიებები შეეჩერებინა და ამპარტავნული ხისტი პოლიტიკური კურსი შეეცვალა; 2)წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დაკარგვას უნდა შეგუებოდა. ამის რეალური საფრთხე აისბერგივით იყო აღმართული საქართველოს წინაშე. ამ ფონზე, „დემოკრატიულ“ და არადემოკრატიულ რუსეთზე აპელირება, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ მიამიტობას წარმოადგენდა.

ელცინ-გამსახურდიას ყაზბეგის შეთანხმების სასინჯი ნაბიჯით, რუსეთის ხელისუფალთ აინტერესებდა, თუ რა პოზიციას აირჩევდა საქართველოს ხელისუფლების მაშინდელი ლიდერი. არსებული პოლიტიკური სიტუაცია, ზ.გამსახურდიას შეეძლობას უქმნიდა: ა)ახალმოდური საბჭოური იმპერიის შესაქმნელი ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობის პროცესში, გარკვეული დამატებების შეტანის ან გამოკლების მოთხოვნა დაეყენებინა; ბ)კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, ელცინ-გამსახურდიას ხელმოწერილ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილი ღონისძიებების უშედეგობიდან გამომდინარე, ოსი სეპარატისტების იზოლაცია, კატეგორიული ფორმით მოეთხოვა. მისი მთელი ძალისხმევა, ამ მიმართულებით უნდა ყოფილიყო გადატანილი. მითუმეტეს, ცხინვალის რეგიონის და იქ მცხოვრები ქართველების სამომავლო ბედი, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკურ გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული. სამწუხაროდ, ზ.გამსახურდიასა და მის გარემოცვას ეგონა, რომ „თვითნებურად“ მოქმედების მიუხედავად, „დემოკრატიული“ რუსეთი, ყაზბეგის შეთანხმებას შეასრულებდა, საქართველოს ბიუჯეტის შესავსებად მოსკოვიდან საბჭოთა ფულს გამოაგზავნიდა და საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურების თანამშრომლების, სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული ადამიანების სახელფასო დაფინანსებასაც მოახდენდა. ქვეყნისთვის სასიცოცხლო ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებიდან გამომდინარე, ზ.გამსახურდიას ხელისუფლებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გასაღები წინ ედო. ვინ როგორ გამოიყენებდა ამ გასაღებს კომფლიქტურ რეგიონებში ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების, მისი ღირსების დასაცავად და ქვეყნის სასიკეთოდ, ეს მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერის მხრიდან მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების სწორ შეფასებაზე და დიპლომატიურ მოქნილობაზე იყო დამოკიდებული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის მმართველ წრეებს, გაცემული სიტყვიერი პირობა, ან დოკუმენტურად გაფორმებულ ხელშეკრულებში ჩადებული პირობები, არასოდეს შეუსრულებია. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში უინსტონ ჩერჩილს, როცა, რუსეთის ხელისუფალთა ხელმოწერილი დოკუმენტის მიმართ ამბობდა: „რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქაღალდის ფასს, რომელზედაც იგია დაბეჭდილი.“[6] იმ ეტაპზე არშემდგარი ქართული სახელმწიფოს ლიდერებს, რუსეთთან მიმართებაში მოქნილი ურთიერთობის ფორმის გამოყენება მართებდა. მითუმეტეს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან და აშშ- ისგან იმ ეტაპზე არანაირი დახმარების და თანადგომის პერსპექტივა არ ჩანდა. ამ ფონზე, საქართველოს ხელისუფლების გადამეტებული რადიკალიზმი შეცდომას წარმოადგენდა.

ამრიგად: 1)1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებს, აღმავალი ოსური სეპარატიზმის სახით, უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა. სეპარატისტების მიზანს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის ქვეშ დაყენება და რუსეთის შესაბამისი უწყების მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელების პრევენცია წარმოადგენდა; 2)ყაზბეგში 1991 წლის 23 მარტს ელცინ-გამსახურდიას შორის მიღწეულ შეთანხმებაში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ფორმულირებით დაფიქსირებამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონისადმი ბ.ელცინის მხარდაჭერა დაადასტურა. ცხინვალის რეგიონში საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ გასატარებელი ღონისძიებებისადმი ბ.ელცინის მხარდაჭერა, ზ.გამსახურდიას მთავრობის პოლიტიკური კურსის გარკვეული ფორმით შეცვლის მოლოდინზე იყო გათვლილი. საწინააღმდეგო ქმედება, ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დაკარგვის რეალურ საფრთხეს ქმნიდა; 3)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და რეგიონის ქარ-თული მოსახლეობის მამა-პაპეულ საცხოვრისზე დამაგრება, საქართველოს მმართველი ელიტის მხრიდან, ამბიციების უკანა პლანზე გადატანას და ლავირებაზე დაფუძნებულ დიპლომატიურ მოქნილობას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყაზბეგის შეთანხმების არშესრულება გარდუვალი იყო. ამ რეალობის მიუხედავად, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, რადიკალიზმის გზა აირჩია, რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უსაფრთხოებისთვის წამგებიანი აღმოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უ.ბლუაშვილი. ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში (1987- 1993 წწ.) თბილისი. 2012 წ. გვ. 40
2. შ.ვადაჭკორია. ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე. 1917- 1925 წწ. თბილისი. 2020 წ. გვ. 16-102
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991 წ. 26.05.
4. იქვე.
5. იქვე.
6. ა.სონღულაშვილი. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!. თბილისი. 2009 წ. გვ. 218

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

ჟურნალი დარეგისტრირებულია საძიებო სისტემაში GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538
JOURNAL IS REGISTERED IN THE GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538

N4
2023

სარჩევი

ბიზნეს ინჟინერინგი N4, 2023

ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების თანამედროვე მიმართულებები

დავით თავხელიძე, ვაჟა ქირია, მიხეილ ჯანიკაშვილი
CALS - ტექნოლოგიების როლი თანამედროვე საწარმოების ფუნქციონირებაში -- 349

Temerbayeva M.V.
BIOTECHNOLOGY SOLUTIONS FOR THE PRODUCTION
OF DAIRY PRODUCTS WITH LONG SHELF LIFE IN KAZAKHSTAN---------- 353

სოფიო ტალახაძე
ჯანსაღი კონკურენცია ---------- 357

ანა ფოლოდაშვილი
ხორბლის ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა
და სამომავლო პერსპექტივები---------- 360

ეკონომიკური ინჟინერინგი ფარმაციაში

ნანა შაშიაშვილი, თამარ ცინცაძე, მედეა ჩიქავა, ხათუნა მიშელაშვილი, გიორგი ელიავა
წამლის საცალო რეალიზაციის განმახორციელებელი ფარმაცევტები
და მათი პროფესიული საქმიანობის კომპონენტები ---------- 368

ეკონომიკური ინჟინერინგი პედაგოგიკაში

თინათინ დეკანოიძე, ვაჟა გურგენიძე
სოციალური პედაგოგიკის არსი და მნიშვნელობა---------- 373

ეკონომიკური ინჟინერინგი პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობასა და კულტურაში

Ia (Elpidi) Latibashvili
CHRONOLOGICAL FRAMEWORK OF THE FOUNDING OF DAVID GAREJI MONASTERY ---------- 377

ვაჟა გურგენიძე, ნათელა გედენიძე
ვიზუალური პოლიტიკის კვლევის ეთიკური პრინციპები---------- 379

იაშა (კოკა) კუტუბიძე, ნათელა გედენიძე
პოლიტიკური იმიჯის შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიები ---------- 382

თეონა ბექაური
პოლიტიკური ველი, როგორც ბაზარი თანამედროვე
ინფორმაციულ საზოგადოებაში ---------- 385